პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 დეკემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 241 (9908) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ТБИЛИСИ-КИЕВ МИРА 1988 ТБИЛИСИ

თბილისი—კიევი სტუდენტთა შორის X მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი

ბატონ როს კამპანას სიტყვა ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე

ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია სტუდენტთა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის სახელით მოგესალმოთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტუდენტებს, რომლებმაც მიიღეთ „ბურევესტნიკის“ მოწვევა და თავი მოიყარეთ აქ, ძიუდოში სტუდენტთა X მსოფლიო ჩემპიონატზე.

ვიმყოფებით რა სომხეთიდან 100 კილომეტრის დაშორებით, პირველ ყოვლისა, მინდა თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოვუცხადო სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთ. ყველას მათ მე მინდა გადავცე სალამი და სოლიდარობა საერთაშორისო სპორტის სახელით. ამასთან, მინდა გულითადი მადლობა ვუთხრა ჩემპიონატის ორგანიზატორებს, რომლებიც შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, მასპინძლობენ ამ ჩემპიონატს. განსაკუთრებული სალამი მინდა გადავცე საქართველოს სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციას, მეგობრებს „ბურევესტნიკიდან“ და საბჭოთა სპორტის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებიდან. მათი მცდელობით შესაძლებელი გახდა ჩაგვეტარებინა ძიუდოში ყველაზე წარმატებული სტუდენტთა ჩემპიონატი.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჩხეიძეს ვთხოვთ გახსნას ძიუდოში სტუდენტთა შორის X მსოფლიო ჩემპიონატი.

ზ. ჩხეიძემ ჩემპიონატი გახსნილად გამოაცხადა.

მონაწილეთა ფანტასტიკური რაოდენობა

გვესაუბრება სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბელგიელი

როს კამპანა

⊙ თქვენი ორგანიზაციის ძირითადი ამოცანა?

— ჩვენ ვემსახურებით სტუდენტური სპორტული ასპარეზობის ორგანიზაციას. ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ყველაზე დიდი შეჯიბრება — მსოფლიო უნივერსიადა. მომავალი ასპარეზობები — ზამთრის უნივერსიადა გაიმართება სოფიაში, ზაფხულისა ბრაზილიაში გაისად. 1991 წელს ზამთრის უნივერსიადას უმასპინძლებს საპორო, ზაფხულისას შეფილი (დიდი ბრიტანეთი). ზაფხულის ბოლო უნივერსიადა ზაგრებში ჩავატარეთ 1986 წელს. მონაწილეობდა 21 ქვეყანა და ექვსი ათასზე მეტი სტუდენტი სპორტსმენი.

⊙ ხულ რამდენ ქვეყანას აერთიანებს თქვენი ორგანიზაცია?

— დღესდღეობით 99-ს, მაგრამ, როგორც იტყვიან, კარი ყველასთვის ღიაა. გაწევრიანების თანხა თითქმის სიმბოლურია.

⊙ თბილისში სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე 30 ქვეყნის დელეგაცია ჩამოვიდა. ცოტაა ეს თუ ბევრი?

— ეს ფანტასტიკური რიცხვია! თბილისში მსოფლიოს ყველა კონტინენტია წარმოდგენილი, ავსტრალიაც კი.

⊙ პირადად თქვენი, როგორც გენერალური მდივნის სიმპათიები სპორტის რომელ სახეობისკენ უფრო იხრება?

— ძიუდოსკენო რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. მე ყოფილი კალათბურთელი ვარ და, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია.

⊙ სად თამაშობდით?

—ბრიუსელის სტუდენტთა ნაკრებში. სხვათა შორის, ერთ დროს ჩვენი გუნდი თბილისსაც ეწვია, რომლის შემადგენლობაში მეც გამოვდიოდი.

⊙ ეს როდის იყო?

— 22 წლის წინათ.

⊙ თქვენი პროფესია?

— სტუდენტური სპორტის სამსახური, თუმცა, უნივერსიტეტში პოლიტიკურ საგნებს გავდიოდი.

⊙ გთხოვთ თქვენს ავტოგრაფს, რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს?

სტუმარმა კალმისტარი აიღო და ეს სიტყვები ჩაგვიწერა ჟურნალისტის ბლოკნოტში: „მადლობა „ლელოს“ მკითხველებს საქართველოში გულთბილი მიღებისათვის“.



გმადლობთ! ქართულად ამბობს იამასიტა



⊙ იამასიტა სან! თქვენ, ალბათ, ის იშვიათი იაპონელი ბრძანდებით, რომელსაც ძიუდოს თბილისელი გულშემატკივრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გცნობენ. ჩვენ გვახსოვს, როგორ გეძახდით შეუჩერებელ იამასიტას...

— მართალი ბრძანდებით, თბილისში მე არავისთან დავმარცხებულვარ, თუმცა წაგება რა იყო, მას შემდეგ რაც ოცი წლისა გავხდი, საერთოდ არ ვიცოდი.

⊙ ოც წლამდე?

— ბავშვობაში ყველაფერი ხდება. ოცი წლის შემდეგ მივხვდი რა არის ნამდვილი ძიუდო და არავის ვაძლევდი უფლებას ჩემთვის მოეგო.

⊙ ახლა რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ოცდათერთმეტისა.

⊙ რამდენი ხანია, რაც თავი გაანებეთ ჭიდაობას?

— ორი წელია.

⊙ ეხლა რა საქმიანობას ეწევით?

— ტოკიოს უნივერსიტეტში სპორტს ვხელმძღვანელობ, აგრეთვე ვავარჯიშებ ეროვნულ ნაკრებს.

⊙ ოჯახი თუ შექმენით?

— დიახ, მყავს მეუღლე და წლინახევრის ბიჭი შოთა.

⊙ შოთა?

— დიახ, ეს სახელი შოთა ხაბარელს მაგონებს, თუმცა არა მხოლოდ მას, ყველა ქართველს, ვისაც ტატამზე და ცხოვრებაში შევხვედრივარ.

⊙ თქვენი შვილი გაუვება ძიუდოს?

— გულით როგორ არ მინდა, მაგრამ იცით რას ვფიქრობ? ტატამზე როგორც კი გამოჩნდება, ყველა იტყვის და შესძახებს — ეს იამასიტას შვილიაო, ეს კი მას ორმაგ პასუხისმგებლობას დააკისრებს...

⊙ არ დაგიმალავთ, ჩვენც და სხვა გულშემატკივრებიც უთუოდ ერთი აზრისა ვიქნებით — კვლავ ვიხილოთ ტატამზე თქვენი მემკვიდრე, „შეუჩერებელი“ იამასიტა.

— ვმადლობთ! (ეს სიტყვა იამასიტამ ქართულად წარმოთქვა).

ინტერვიუ კამპანასთან და იამასიტასთან აიღეს
პეპი ბოკორიშვილმა და თენგიზ თოდუაშვილმა.

პირველი დღე, პირველი შედეგები

შეიძლება ითქვას, ჩვენი გულშემატკივრები განებივრებულნი არიან უძლიერეს ძიუდოისტთა შერკინებების ხილვით. ცხადია, თბილისის საერთაშორისო ტურნირს ვგულისხმობთ. ახლაც, როდესაც თბილისის სპორტის სასახლეში უკვე დაიწყო სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო X ჩემპიონატი, ზოგი ამ შეჯიბრებას თბილისის ტრადიციულ ტურნირს ადარებს. ზოგ შემთხვევაში მონაწილეთა სიძლიერით ტურნირი გადაწონის ჩემპიონატს, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოფიციალურ შეჯიბრებას განსაკუთრებული სტატუსი აქვს. ამასთან, სტუდენტებთან პირველმა ნაცნობობამ დაგვანახა, რომ თბილისში ბევრი ძლიერი მოჭიდავე გვწვევია, არიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები და თვით ჩემპიონიც კი — იაპონელი ნაოიავა ოგავა.

პირველი ორთაბრძოლები, ცხადია, დიდ მღელვარებასთან არის დაკავშირებული და მისი განცდა ჭალებს მოუწიათ, — ტატამზე გამოვიდნენ 72 კგ-მდე და უფრო მძიმე წონის სპორტსმენები. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენჯერმე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოისტ ქალთა შორის, მაინც ეტყობა, რომ ქალთა ძიუდო მსოფლიოში ჯერ მხოლოდ ახლა იმაგრებს წელს. სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაც დებიუტია მათთვის და ეს გარეგნულად ჩანს კიდეც: 72 კგ წონაში გამართულ შეჯიბრებაში 10 სპორტსმენი მონაწილე-

იხ. მე-3 გვ.



სურათებზე: ქალთა ასპარეზობის მომენტი; მაყურებელს მოეწონა ქალთა ძიუდო; მთავარ მსაჯთა კოლეგია (მარცხნივ) და ჩემპიონატის ყიური.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.

შრომისა და რუდუნების შედეგი

ჩემპიონატი — 70

— **უცნაურია**, მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, პირველ ყოვლისა ჩემი სპორტული სკოლა, მეგობრები, ახლობლები გამახსენდა — ყველა ის, ვინც ჩემს გამარჯვებას ულოდა, ამ შეჯიბრებამ თითქოს უფრო მეტად დამანახვა, რომ პირადი სიხარული მხოლოდ მაშინაა დიდი და სრულყოფილი, როდესაც მას სხვებიც იზიარებენ: დარწმუნებული ვარ, ამასვე განიცდიდნენ ნატალია ანისიმოვა და სვეტლანა მაკარიჩევა, — გვითხრა ბელგიიდან ჩამოფრენის შემდეგ აკრობატიკაში მსოფლიო ჩემპიონმა ინგა გიორგობიანმა.

ვუყურებდი ინგასა და ნატაშას სახეებს და ვფიქრობდი, რომ მათი დაღლილობა მხოლოდ ბედნიერებით არ იყო გამოწვეული, იგი იმ დიდი, ხანგრძლივი შრომისა და რუდუნების შედეგი გახლდათ, რომლის გარეშეც უმაღლესი მიზნისკენ გზას ვერ გაიკვლევ. ეს გზა ჯერ ამ ორი წლის წინ, უფრო სწორად, 1987 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ გურგენიძემ ტალინიდან სამეულის ზედა წევრად სპორტულ ტანვარჯიშში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სვეტლანა მაკარიჩევა ჩამოიყვანა. სწორედ მაშინ დასახა გამოცდილმა მწვრთნელმა სამოქმედო პროგრამა-მაქსიმუმი — მსოფლიო ჩემპიონობა და ეს დიდი მიზანი გოგოებსაც ჩაუნერგა. ცხადია, ეს მიზანი მხოლოდ სურვილებს არ ეყრდნობოდა, ჩვენი სამეულიც, რომლის ზედა წევრი მარინე შაღაშვილი გახლდათ, ერთხელ უკვე ფლობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს. აქვე ისიც უნდა განვმარტოთ, რომ მარინემ შემდეგ სამალლეში და წონაში მოიმატა და მწვრთნელი იძულებული გახდა მას შელეოდა. ახალ ამპლუაში გამოსვლისთვის სვეტლანა მაკარიჩევას აკლიმატიზაცია დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი ფიზიკურად ზედმიწევნით მოქნილი და უშიშარი იყო. ამ თვისებებმაც განაპირობა, რომ გოგონა მალე შეეგუა „ოლეტიფს“. ცხადია, ამაში დიდი როლი ითამაშეს ინგამ და ნატამამ, განსაკუთრებით კი ინგამ, რომელიც სამეულის ზედა და ქვედა წევრების დამაკავშირებელია, ინგა ყველაზე სტაჟიანი აკრობატია მათ შორის. მას აქვს მტკიცე ნებისყოფა, სიდინჯე, მოძრაობათა მდიდარი არსენალი და უმაღლესი ტექნიკური მომზადება, ერთი სიტყვით, ყველა ის თვისება, რაც „მეკავშირეს“ უნდა ჰქონდეს. სამეულის წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ნატალია ანისიმოვას, რომლის მხრებზე, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი გაგებით, გადადიოდა ბევრი რთული კომბინაციის სიმძიმე. ნატალიას ამ როლის წარმატებით შესრულებაში ხელს უწყობდა ფიზიკური სიძლიერე და ისიც, რომ იგი ადვილად ემორჩილებოდა წვრთნას. ერთი სიტყვით, გოგოებს ყველა მონაცემი ჰქონდათ, რომ რეალურად ეფიქრათ უმაღლესი მწვერვალის დაპყრობაზე. მით უმეტეს, რომ მათი დაოსტატება ებარა მწვრთნელ ვლადიმერ გურგენიძეს, რომლის ხუთმა შეგირდმა გასულ წლებში უკვე მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ვლადიმერის მამა, რობერტ გურგენიძე იყო პირველი მწვრთნელი ჩვენი „ოქროს სამეულის“ — ნანა კიკალიშვილის, მანანა მნათობიშვილის და მაია შილაკაძისა. მამის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ საქმე ვლადიმერმა გაიგრძელა და არა მარტო გააგრძელა, დაადგინა ინა კიდეც — პირველად ქართული აკრობატიკის ისტორიაში ჩვენმა სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონობა, უმაღლესი ტიტული მოიპოვეს. 23 წლის მწვრთნელის ეს დიდი წარმატება ზოგიერთმა მამისგან მიღებულ „მემკვიდრეობად“ ჩათვალა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა მწვრთნელმა კვლავ გაიმეორა თავისი მიღწევა, ამჯერად მის მომზადებულ ქალთა წყვილს (სვეტლანა მკრტჩიანი და ლიუდმილა გლაზუნოვა) მსოფლიოს ჩემპიონობა ხვდა. და აი, ექვსი წლის შემდეგ კვლავ დიდი წარმატება. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით და კიდევ გვინდა გავიმეოროთ, რომ საქართველოში არც ერთ მწვრთნელს არ გაუზრდია რვა მსოფლიოს ჩემპიონი. ეს რეკორდი ალბათ დიდხანს გაძლებს, თუ ისევ თვითონ ვლადიმერმა არ მოხსნა.

მიხეილ გეგელია — აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. — ვლადიმერმა, როგორც ჩანს, მამისგან გენეტიკურად მიიღო დიდი შრომის უნარი და გემოვნება, რომელიც უფრო დახვეწა. იგი გამოირჩევა საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით. მწვრთნელთა უმეტესობა შეგირდს რაიმე ილეთს ერთბაშად ასწავლის, მის დახვეწაზე შემდეგ ფიქრობს. ვლადიმერი ჯერ ილეთის ელემენტებს ასწავლის და მხოლოდ შემდეგ ასრულებინებს მას სპორტსმენს. მან კარგად იცის, რომ თავიდან არასწორად ნასწავლის გასწორება შემდეგ ძნელი, ან შეუძლებელია. არ ვიცი, შეიძლება გადამეტებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენმა ჩემპიონებმა მზადება ზუთჯერ უფრო რთული პროგრამით დაიწყეს, ვიდრე ამას მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამა ითვალისწინებდა. ზედმიწევნით გართულდა კომბინაცია „თბილისი“, რომლის ავტორი თვითონ ვლადიმერ გურგენიძეა. ეს ილეთი პირველად ჩვენმა გოგოებმა ორი წლის წინ შეასრულეს. გარდა ამისა, მწვრთნელმა კომბინაციებში შეიტანა სამი სამმაგი მალაყი. ამ ზერთულ ელემენტებს კომბინაციაში დღეს მსოფლიოს ვერც ერთი აკრობატი ვერ ასრულებს. ასე რომ, ჩვენ ყოველგვარი საფუძველი გვქონდა წარმატებისა. ახლა მთავარი იყო ამ უპირატესობათა რეალიზება. ამის საშუალება ჩვენს გოგოებს თბილისში წლის დასაწყისშივე მიეცათ, როდესაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. მათი უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური ხელშესახები და თითქმის რეალური გახდა. მთავარი იყო სპორტული ფორმა შეენარჩუნებინათ და, რაც მთავარია, ტრავმა არ მიეღოთ. ვლადიმერ გურგენიძე, როგორც ჩემპიონების აღმზრდელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ქალთა სამეულების პასუხისმგებელ მწვრთნელად დაინიშნა...

ინგა გიორგობიანი: — ანტვერპენში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავფრინდით და იმავე დღეს ვივარჯიშეთ ქალაქის სპორტის სასახლეში. დილის შეჯიბრება ორ საათზე იწყებოდა და ხუთ საათზე მთავრდებოდა, საღამოს რვა საათზე ვიკრიბებოდით და გვიანობამდე, თითქმის შუაღამემდე გრძელდებოდა შეჯიბრება. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაყურებელი სამსახურის დამთავრების შემდეგ მოდიოდა შეჯიბრებაზე, დილის შეჯიბრებას ბავშვები უფასოდ ესწრებოდნენ, ბელგიელები დიდ ინტერესს იჩენდნენ აკრობატიკისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ასპარეზობის მთელ პროგრამას ტელევიზია გადასცემდა, დარბაზში თავისუფალი ადგილის შოვნა პრობლემა იყო. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ პრესაც ფართოდ აშუქებდა ჩვენს გამოსვლებს... თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩვენი ყველაზე სერიოზული მეტოქეები მსოფლიო ჩემპიონები — ბულგარელები იქნებოდნენ. მათს გარდა უმაღლეს ჯილდოზე პრეტენზიას აცხადებდნენ ჩინელი აკრობატებიც. წილისყრით ჩვენ და ბულგარელები სხვადასხვა ნაკადში მოვხვდით. ჩემპიონები ფიცარნაგზე პირველები გამოვდნენ. ჩვენ ამ დროს მოთელვას გავდიოდით, როგორც შემდეგ გავიგეთ, ბულგარელებმა პირველი ვარჯიში იმდენად კარგად შეასრულეს, რომ უმაღლეს შეფასებამდე მხოლოდ ერთი მეათედი ქულა დააკლდათ. ასევე 9,9 ქულით შეფასდა ჩვენი გამოსვლაც. ჩინელების სამეული ერთი მეათედი ქულით ჩამოგვრჩა.

ვლადიმერ გურგენიძე: — ჩვენთვის, როგორც ამ შეჯიბრების დებიუტანტებისთვის, ბრძოლა გაცილებით ძნელი იყო, რადგან უცნობს ყველა ეჭვის თვალით უყურებს და არც მსაჯები არიან შეფასების დროს მაინცდამაინც გულუხვები, მაგრამ ჩვენმა სამეულმა პირველი გამოსვლისთანავე გაფანტა ეს ეჭვები, მან ჯერ მაყურებელთა და შემდეგ მსაჯთა სიმპათია დაიმსახურა, თუმცა ყოველივე ამას მეტოქეებზე მეტი მონდომებითა და რთული ვარჯიშებით მივაღწიეთ.

ინგა გიორგობიანი: — მეორე დღეს შედეგების მიხედვით ყველა ძლიერი მონაწილე პირველ ნაკადში გავერთიანდით. ბულგარელები ამჯერად ჩვენს შემდეგ გამოვიდნენ. ჩვენი შეფასება კვლავ 9,9 იყო, ამდენივე ქულა დაიმსახურეს ბულგარელებმაც. ამავე დღეს ორივე სამეული მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედლებით დაგვაჯილდოვეს. მესამე ადგილზე ჩინელები გავიდნენ. მოხდა დაუჯერებელი ამბავი, მესამე დღეს ცალკეულ ვარჯიშებში გამართულ ორ შეჯიბრებაში, ჩვენ და ბულგარელებმა კვლავ 9,9 ქულა დავიმსახურეთ. და ამჯერადაც I-II ადგილები გავიყავით.

ნატალია ანისიმოვა: — ბრძოლა უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა, ოდნავი უზუსტობა, ერთი ზედმეტი ნაბიჯიც კი საკმარისი იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს გამოვთხოვებოდით. ბულგარელებს იმითღა ვაჯობეთ, რომ საბჭოთა ნაკრებმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებით I ადგილი დაიკავა და ორი გუნდური მედალი გადმოგვეცა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ევროპის ჩემპიონატში ჩათვლა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებით ხდებოდა.

ვლადიმერ გურგენიძე: — ალბათ თქვენთვის ისიც საინტერესო იქნება, რომ ევროპის ჩემპიონთა მედლებს სპორტის სასახლეში კი არა, მოგვიანებით გამარჯვებულთა პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე გადასცემდნენ სპორტსმენებს. მიზეზი ის იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონთა -მედლების- გადაცემა გვიან მთავრდებოდა.

მაშ ასე, მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, ჩვენმა გოგოებმა საქართველოს სპორტის ისტორიაში ყველაზე მეტი — 8-8 ოქროს მედალი მოიპოვეს. მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ წარმატებათა წინაპირობებს, რამაც ესოდენ დიდ გამარჯვებამდე მიგვიყვანა. ამაში ლომის წილი უდავოდ აკრობატიკის რესპუბლიკურ სკოლას ეკუთვნის, რომლის კედლებში ინგა გიორგობიანი და ნატალია ანისიმოვა გაზარდნენ, ხოლო ორი წლის წინ მათ სვეტლანა მაკარიჩევა შეუერთდა. ამ სკოლამ თავისი არსებობის 18 წლის მანძილზე 10 მსოფლიო ჩემპიონი აღზარდა (ორი — მხატვრულ ტანვარჯიშში). ეს შედეგიც უნიკალურია ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში. ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის სპორტული სკოლის დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მიხეილ გეგელიას. სწორედ ამ კაცის დამსახურებაა ის, რომ სკოლის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა, ნიჭიერი მწვრთნელები, დირექტორის დამსახურებაა ისიც, რომ მან ყველანი საერთო მიზნისთვის დარაზმა და შეაკავშირა. მისმა დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და უნარმა შედეგიც სათანადო გამოიღო — დღეს ეს სკოლა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, მთელ საბჭოთა კავშირშიც მოწონებეა.

აქვე არ შეიძლება ისიც არ აღვნიშნოთ, რომ წლევანდელ წარმატებაში სათანადო წვლილი შეიტანეს სპორტსაბჭოს ... ...

პირველი დღე, პირველი შედეგები

(დასასრული)

ოვა, უფრო მძიმე კატეგორიაში კი — შვიდი. ამიტომ სამი ბრძოლის მოგება საკმარისი იყო ჩემპიონობის ტიტულის მოსაპოვებლად.

წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები, გალინა ნესტეროვაც (72 კგ) და ვერონიკა კოზლოვსკაიაც (+72) ფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქეები შესაბამისად იქნებიან ლორანს სიონო (საფრანგეთი) და ესპანელი იზაბელ კორტავიტარი.

მაგრამ ჩვენს მაყურებელს ყველაზე მეტად, ცხადია, ვაჟთა ასპარეზობა აინტერესებდა, სადაც 95 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში უნდა გამოსულიყო კობა კურტანიძე.

კურტანიძის იღბლიანად დაწყებული სპორტული სეზონი მძიმე ტრავმამ შეუწყვიტა. მაისში, ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ ქართველი ფალავანი მენისკის ოპერაციის გამო რამდენიმე თვით ჩამოსცილდა ტატამს. ამასობაში სეულის ოლიმპიადის ჩატარების ვადებიც მოახლოვდა და კობა კურტანიძემ გამოტოვა ეს უმნიშვნელოვანესი ტურნირი. საერთოდ,



იპონი!

სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის პირველი შეჯიბრებაა გადატანილი ოპერაციის შემდეგ.

თუ როგორ მოემზადა ევროპის ჩემპიონი ამ ასპარეზობისთვის, ამაში მალე დარწმუნდნენ გულშემატკივრები, პირველ ორთაბრძოლაში კურტანიძემ შესანიშნავი ილეთით ძირს დასცა ბულგარელი ნიკოლაი დონჩევი. მისი მომდევნო მეტოქე კი იაპონელი იყო, კაზუო ტობიმაცუ და ამით ყველაფერია ნათქვამი, ოთხ წუთს გაგრძელდა „ძალების მოსინჯვა", რომლის დროსაც ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელმა გაფრთხილების (შიდო) მიღება მოასწრო. მაგრამ ამან იგი არ დააზარალა, — სულ მალე კურტანიძემ მოგვერდი იხმარა და ძირს განრთხმული იაპონელი 30 წამით შებოჭა.

მისი მომდევნო მეტოქე დეტლეფ კნობევი (გფრ), ეტყობა, კარგად დააკვირდა შეჯიბრების მთავარი ფავორიტის ჭიდაობის მანერას და ამიტომაც მესამე ორთაბრძოლაში გადაწყვიტა თვითონ ჯიქურ გადასულიყო იერიშზე. მაყურებელთა გასაკვირად, ამ მანევრმა მას კარგი შედეგი მოუტანა, კურტანიძეს მეტოქის ილეთი გამოეპარა და კნობევმა ვაზარი დაიმახსოვრა. თუმცა მალე ყველაფერი „რიგზე დადგა", ქართველმა ფალავანმა ზედიზედ ორი იუკო დაიმახსოვრა და მერე უძნელესი მდგომარეობიდან მოგვერდზე წამოიღო გერმანელი სპორტსმენი,— კვლავ წმინდა გამარჯვება.

ფინალში კობა კურტანიძის მეტოქე იქნება ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი პოლონელი იაცეკ ბუტლერი, რომელმაც ნახევარფინალში ჰანტეით მოუგო ბრაზილიელ ედუარდო დუგლასს. სამწუხაროდ, თბილისში არ ჩამოვიდა დუგლასის თანამემამულე, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ამ წონაში აურელიო მიგელი.

მძიმე წონაში დამარცხდა საბჭოთა მოჭიდავე რუსლან შარაპოვი, მას ფრანგმა ჟორჟ მატონემ სძლია. მატონემ ზედიზედ სამი ბრძოლა მოიგო წმინდად (შებოჭვით) და ფინალში გავიდა, სადაც მას მრისხანე მეტოქე ელოდება, — ნაოიავა ოვავა. იაპონელიც იოლად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს.

გუშინ გამოვლინდა ხტუდენტ ქალთა შორის მსოფლიოს X ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული. ეს ხაპატიო წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ვერონიკა კოზლოვსკაიამ (+72 კგ). როგორც იცით, ქალთა შეჯიბრება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით პირველად ახლა, თბილისში ტარდება და ამიტომ კოზლოვსკაია საერთოდ ამ შეჯიბრების პირველი ჩემპიონია. ფინალში მან დამარცხა ესპანელი იზაბელა კორტავიტარი. ძალები აშკარად არათანაბარი იყო, საბჭოთა სპორტსმენი გაცილებით მძიმე იყო მეტოქეზე, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა. კოზლოვსკაიამ შებოჭა მეტოქე და ესპანელმა „კაპიტულაცია" გამოაცხადა.

ამ წონაში მესამე ადგილი დაიკავა ჩინელმა იან ლიმ, რაც შეეხება ვაჟებს, კერძოდ კი კობა კურტანიძეს, მისი ფინალური შეხვედრა გვიან დამთავრდა.

გიორგი ჩოჩიშვილი.



მიზანი — დაკარგული ტრადიციების დაბრუნება

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში, მათ შორის ქუთაისში, იმართება კლასიკური ჭიდაობაში სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონატის შესარჩევი, ზონალური ტურნირები.

ქუთაისის ხალიჩაზე გამოდიან საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, რსფსრ-ს, ტაჯიკეთის და მოსკოვის ნაკრები გუნდები. თითოეულ წონით კატეგორიაში პირველ სამ ადგილზე გასული ფალავნები ფინალში იასპარეზებენ. წინასწარი შეჯიბრებებიდან მხოლოდ ქვეყნის, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების - ჩემპიონები არიან განთავისუფლებული. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის გულმოდგინედ ემზადებოდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებიც, რომელიც საწვრთნელ შეკრებაზე ქუთაისში ჩავიდა 1 დეკემბრიდან.

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი შეჯიბრების წინ ესაუბრა გუნდის უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ **მიხეილ სალაძეს.**

● სპორტის გულშემატკივრებს განსაკუთრებით აინტერესებთ ჭიდაობის წესებში მოხდარი ცვლილებები.

— დიახ, ზონალური შეჯიბრებები ახალი წესებით ჩატარდება, თუ ადრე ორთაბრძოლა შედგებოდა ორი ნახევრისაგან 3-3 წუთიანი პერიოდით და ერთწუთიანი შესვენებით, ახალი წესების თანახმად ფალავნები ხუთ წუთს შეუსვენებლივ ჭიდაობენ. ამასთან, ადრე გაფრთხილების შემთხვევაში პასიურ მოჭიდავეს ჩოქჯენში აყენებდნენ და ჭიდაობა ჩერდებოდა. ახლა ეს წესი გაუქმებულია, მსაჯი მხოლოდ ეესტის მიცემით აღნიშნავს გაფრთხილებას, ორთაბრძოლა კი გრძელდება.

ერთი სიტყვით, კლასიკური ჭიდაობა უფრო აქტიური, დინამიური და საყურებლადაც უფრო მიმზიდველი გახდება. მაგრამ ასეთი წესები სპორტსმენებისაგან უაღრესად კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. ადრე შეჯიბრებას ოთხი დღე სჭირდებოდა, ახლა იგი სულ ორ დღეში დამთავრდება. ფიზიკური მომზადება მუდამ ქართველი ფალავნების აქილევსის ქუსლი გახლდათ, ამიტომ მზადებაში, საწვრთნელ პროცესში ბევრი ცვლილების შეტანა მოგვიწევს.

● რა მდგომარეობაა ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებში?

— თუ ადრე რესპუბლიკის ნაკრები ერთი გუნდით ემზადებოდა, ახლა ჩვენი ფალავნები ერთბაშად 4 ზონაში (ქუთაისი, ლენინგრადი, გროდნო, ნოვოსიბირსკი) იასპარეზებენ. ამიტომ შეკრებაზე ერთბაშად 60 (!) მოჭიდავე გამოვიძახეთ. ნოემბრის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა, რომლის შედეგებით უკმაყოფილო დავრჩით. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ წამყვან ძალად კვლავ ჩვენი „ძველი", კარგად ნაცნობი გვარდია რჩება. ბუნებრივია, საზრუნავი და საფიქრალი ბლომად გაგვიჩნდა.

დიახ, 1984 წლიდან ნაკრებში დაიწყო თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. საკმარისია ითქვას, რომ ამ წლებში არც ერთი ქვეყნის ჩემპიონი არ გვყოლია. ასეთი ჩავარდნა ქართულ კლასიკურ ჭიდაობას არ ახსოვს. ამიტომ დახანება აღარ შეიძლება. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად. ამას, უპირველეს ყოვლისა, ტრადიცია მოითხოვს.

ჩვენი ახლანდელი გუნდი ერთ-ერთი ახალგაზრდულია კავშირის მასშტაბით. გედეხაურის, ივანაშვილის და თედორაძის გარდა, ნაკრებში ძირითადად 1968-69 წლებში დაბადებული ჭაბუკები არიან. ისინი, მართალია, გულმოდგინედ ემზადებოდნენ საპასუხისმგებლო სტარტებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით, ალბათ, გაუჭირდებათ გამოცდილ მეტოქეებთან ღირსეული ჭიდილი.

ტრადიციულად კვლავ გვიჭირს დაბალ წონით კატეგორიებში, ამიტომ მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა 52 და 57 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მონაწილეები არ გამოვიყვანოთ. სამაგიეროდ, ორ-ორი მოჭიდავე გამოვა მძიმე წონებში.

● ჩვენი ფალავნებიდან ვინ იასპარეზებს ქუთაისში?

— 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვა ვ. პაპაშვილი, 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში — კოღუაშვილი, ივანაშვილი, ხოლო 100 კილოგრამში — თედორაძე და დვალაძე. დანარჩენ წონით კატეგორიებში — გულიაშვილი (62 კგ), გიგაური (68 კგ), ადეიშვილი (74), დარჩია (82 კგ) და ქარსელაძე (+130 კგ).

გედეხაური ლენინგრადში გამოვა, იგი ძალზე მწვავედ განიცდის, რომ სეულის ოლიმპიადაზე ვერ გაამართლა ქომაგთა იმედები, ამიტომ გვთხოვა, საქართველოში არ გამოგვიყვანა. გურამი ახლა, ალბათ, მთელი ძალების მობილიზებით შეეცდება დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, იგი ხომ ქვეყნის ნაკრებში კვლავ პირველი ნომერია.

● ვინ გეხმარებათ მუშაობაში?

— ესენი არიან ახლო წარსულში ცნობილი ქართველი ფალავნები და არანაკლებ ცნობილი მწვრთნელები: თ. აფხაზავა, თ. ყაზარაშვილი, ვ. ბალავაძე, ო. ბლიადაძე, კ. თავართქილაძე, ი. ჩხარტიშვილი, დ. დავითაია, ჯ. შეგრელიშვილი, ვ. დათიაშვილი.

● ხახელოვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა მთელი „თანავარსკვლავედია", ამიტომ ჩვენს გუნდს ალბათ არ ეპატიება ის, რომ წინა ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ VII ადგილი დაიკავა...

— რა თქმა უნდა, ეს მოკრძალებული შედეგია, მაგრამ გაცილებით ოპტიმისტურად ველით მომავალ ახალგაზრდულ თამაშებს, რომელიც გაისად გაიმართება.

● ჩვენ გვითხრეს, რომ ნაკრების წევრებმა სპეციალური კრება ჩაატარეს სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ.

— დიახ, ამ უბედურებამ ჩვენც შეგვძრა, როგორც ყველა ქართველი. ჩვენ სომეხ მოჭიდავეებთან ტრადიციული მეგობრობა გვაკავშირებს, იმ პერიოდში სომხეთის ნაკრები ლენინაკანში იმყოფებოდა შეკრებაზე, საბედნიეროდ ის სასტუმრო, სადაც იგი ცხოვრობდა, არ დანგრეულა, ყველა უვნებელი გადარჩა, მხოლოდ უფროს მწვრთნელს აქვს ფეხი მოტეხილი.

ფინალური პირველობების დამთავრების შემდეგ ჩვენი ნაკრები სომხეთში გაემგზავრება რამდენიმე დღით, დავეხმარებით დაზარალებულებს, ფიზიკურად ვიმუშავებთ აღდგენით სამუშაოებზე, ასევე ჩვენი ხელფასიდან გარკვეულ მატერიალურ დახმარებას გავუწევთ ჩვენს მეგობრებს.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

ხარკოვში ჩატარდა 1973-1975 წწ. დაბადებულთა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. აქ ბრწყინვალედ იასპარეზა თბილისის 57 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ივანე კერატიშვილმა, იგი მძიმეწონასანთა შორის იბრძოდა (+87 კგ) და ყველა ხუთი შეხვედრა მოიგო, თანაც ოთხი აშკარა უპირატესობით, ფინალში კი მოლდაველი გენადი შარიპოვი დაამარცხა.

ივანე კერატიშვილი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ გაჩეჩილაძის აღსაზრდელია. მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს თავის მოწაფეზე და დარწმუნებულია, რომ კარგი მძიმე წონის მოჭიდავე დადგება. ამაში 16 წლის ათლეტს ხელს უწყობს ფიზიკური მონაცემებიც: 185 სანტიმეტრის სიმაღლის სპორტსმენს შესაშური ძალა და სისწრაფე აქვს.

სურათზე: ივანე კერატიშვილი და მისი მწვრთნელი ნუგზარ გაჩეჩილაძე.



16 დეკემბერს ციურიხში შედგა ფეხბურთში ევროპის საკლუბო. ტურნირების მეოთხედფინალური შეხვედრების წილისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

ჩემპიონთა თასი

„გეტებორგი" (შვეცია) — „სტიაუა" (ბუქარესტი, რუმინეთი)
„ვერდერი" (გფრ) — „მილანი" (იტალია)
„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი)
„მონაკო" — „გალათასარაი" (თურქეთი)

თასების მფლობელთა თასი

„აინტრაჰტი" (ფრანკფურტი, გფრ) — „შეჰელენი" (ბელგია)
„სრედეცი" (ბულგარეთი) — „როდა" (ჰოლანდია)
„დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სამპდორია" (იტალია)
„ორჰუსი" (დანია) — „ბარსელონა" (ესპანეთი)

უეფა-ს თასი

„ვიქტორია" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ)
„შტუტგარტი" (გფრ) — „რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი)
„ჰართსი" (შოტლანდია) — „ბაიერნი" (გფრ)
„იუვენტუსი" (იტალია) — „ნაპოლი" (იტალია)

მეოთხედფინალის პირველ მატჩებს წყვილებში პირველად დასახელებული გუნდები შინ ჩატარებენ 1989 წლის 1 მარტს, ხოლო საპასუხო შეხვედრებს — 15 მარტს.

მკითხველი — გაზეთი

„თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ბოლო წლებში ვერ თამაშობენ ადრინდელი სიძლიერით და საკავშირო ჩემპიონატშიც არასახარბიელო ადგილებს იკავებენ, მაგრამ, მაინც, ეს ჩვენი საყვარელი გუნდია, ამიტომაც მიხთვის მუდამ შეგვტკივა გული.

გვაინტერესებს რამდენი მაყურებელი დაეხწრო თბილისის „დინამოს" მატჩებს 1988 წლის ჩემპიონატში როგორც შინ, ისე სტუმრად?"

ვ. კურტანიძე.

სოფ. ჩხერი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი განსაზღვრულია 74.324 მაყურებლისათვის. შინ ჩატარებულ 15 მატჩში თბილისის „დინამოს" დაესწრო, 522.328 მაყურებელი, ხოლო მეტოქეებ მინდვრებზე, ასევე 15 მატჩში, 265.972 მაყურებელი, ე. ი. სულ 788.300 კაცი. 1988 წლის ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" მატჩებს საშუალოდ ესწრებოდა 34.821 მაყურებელი. შარშანდელი ჩემპიონატის საშუალო დასწრება 28.904 კაცს უდრიდა, ე. ი. შარშანდელთან შედარებით წლევანდელმა მატებამ 5.917 კაცი შეადგინა.

საინტერესოა, რომ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ორი გუნდია, რომლებსაც წლეულს მეტი მაყურებელი ჰყავდათ, ვიდრე შარშან. ესენია ლენინგრადის „ზენიტი" და თბილისის „დინამო". დანარჩენ გუნდებს, მაყურებლები დააკლდა.



ინგლისელებს

უარს ეუბნებიან

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ უარი შეუთვალა ინგლისის საფეხბურთო ხელმძღვანელობას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის სტენლი როუზის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში მონაწილეობაზე.

ეს შეჯიბრება გაისად მაისში მოეწყობა. მასში გამოდიან ინგლისისა და შოტლანდიის გუნდები, მაგრამ რეგლამენტით გათვალისწინებულია 3 გუნდის მონაწილეობა. ესპანელებამდე კი უარი განაცხადა არგენტინის ნაკრებმაც. საინტერესოა, ახლა ვის მიმართავს ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია?

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე

ფინალური ადვილი ბრძოლები არ არსებობს

ზუსტად ერთი წელი ელოდნენ კრივის ქომაგები ამ საღამოს და მათ, ვინც შარშან უიმედობამ არ მოიცვა, ვინც მსგავს ასპარეზობაში მაშინდელმა სრულმა კრახმა ვერ შეაშინა (შარშან ხომ ტურნირში არც ერთი გამარჯვებული არ გვყოლია). აშკარად გაგვიმართლეს ჩვენმა ახალგაზრდა მოკრივეებმა. ეს განსაკუთრებით VII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დასკვნით, ფინალურ შეხვედრებზე ითქმის, რომელიც შესანიშნავად ჩაატარეს საქართველოს წარმომადგენლებმა. ფინალი — ფინალია და გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ვინმე ადვილად დათმობდა ორთაბრძოლას, ამიტომაც მით უფრო სასიხარულო და საამაყოა ის, რომ ჩვენი სპორტსმენები არ შედრკნენ ძლიერ მეტოქეთა წინაშე და ღირსეულად დაიცვეს რესპუბლიკის სპორტული ღირსება. ამასთან, ერთგვარი რევანშიც აიღეს შარშანდელი წარუმატებლობისათვის.

რაც შეეხება თვით ფინალურ ბრძოლებს, საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ მონაწილეობდა ხუთი კუბელი მოკრივე, რომლებიც ბრძოლის მეტად აგრესიული სტილით წარმართვის ერთგულნი რჩებიან და საამისო ძალაც შესწევთ. ისინი შესანიშნავად არიან მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე ტაქტიკურადაც.

მიუხედავარ იმისა, რომ პირველი უმჩატესი წონის (48 კგ) მოკრივე ა. გევორქიანი ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა და ფინალისკენ მიიწევდა, იგი მაინც, ერთგვარად, სხვათა ფონზე, ჩრდილში იდგა. თურმე, თბილისის განათლების სამმართველოს კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელი მთავარი შეხვედრისთვის ემზადებოდა, სადაც მას მეტად ძლიერი მეტოქე ელოდა კუბელ ე. ბარიენტოსის სახით.

ეს ორთაბრძოლა, რომელიც თავიდანვე მეტად უკომპრომისოდ და აგრესიულად წარიმართა, დიდხანს ემახსოვრებათ თბილისელებს. კარგა ხანს გაურკვეველი იყო ვის მხარეზე იქნებოდა უპირატესობა. ბოლო წუთებზე უფრო აქტიური მასპინძელი ჩანდა და გამარჯვებულადაც იგი სცენს მსაჯებმა. ამ წარმატებამ ფრთები შეასხა მის თანაგუნდელებს, რომლებიც ერთგვარი აღმაფრენით იბრძოდნენ ამ დღეს. მათგან გამარჯვებათა ესტაფეტა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეორეკურსელმა ვაგიფ აბასოვმა. სსრ კავშირის ნაკრების წევრ ა. ეუმანგულოვთან გამარჯვების ნიშნად მსაჯმა მისი მარჯვენა აღმართა.

გულშემატკივრებს ყველაზე მეტი სიხარული მოუტანა ახალგაზრდა ქუთაისელმა სპორტსმენმა აკაკი კაკაურიძემ, რომელიც თავის მწვრთნელ ა. ცქიფურიშვილთან ერთად (იგი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით — „ტურნირის გამარჯვებულის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელს“) ამ ასპარეზობის ნამდვილი აღმოჩენაა. მას თავიდანვე მეტად „მკაცრ გამომცდელებთან“ ჰქონდა საქმე და ფინალშიც საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი მეტოქე — სსრ კავშირის ნაკრების წევრი ი. ბორისოვი შეხვდა.

ჩვენმა მოკრივემ აქტიურ მოწინააღმდეგეს, რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში წინ მიიწევდა, ერთადერთი სწორი ტაქტიკური ვარიანტი — დისტანციური ბრძოლა დაუპირისპირა და მისი პირდაპირი დარტყმები აღწევდა მიზანს, როცა მეტოქე მესამე რაუნდში გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა. ა. კაკაურიძემ ძლიერი დარტყმებით წონასწორობა დააკარგვინა მეტოქეს და ნოკდაუნში გაგზავნა იგი. მაყურებელმა მისი სახით ადრინდელი ქუთაისური კრივის სკოლის ტიპიური წარმომადგენელი იხილა, სკოლისა, რომელსაც ორმოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი და მან არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა ქართველ კრივს. ყველაფერი ეს ძალზე ბევრს ავალებს ა. კაკაურიძეს, მან განუხრელად უნდა სრულჰყოს თავისი ოსტატობა უფრო მასშტაბური გამარჯვებების მოსაპოვებლად.



ამის შემდეგ საქართველოს კიდევ ერთმა მოკრივემ — ა. ბურდიანცმა (+91 კგ) ისაუბრა თავი და დაუჯერებლად გამარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრ, ჯამბულელ ტ. ბალიბეკოვთან შეხვედრაში. ეს ბრძოლა — გაქარწყლა ის ეჭვები, რომელსაც საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა — რუმინელი ვასილ ადამეტრიცე, მაგრამ მასპინძელი მესამე რაუნდის ბოლოს გამოცოცხლდა და აქტიურობდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატებისთვის. ადალიანი ვერცხლის მედალს დასჯერდა. წინა დღეს ქვემსუბუქი წონის მოკრივეთა ნახევარფინალურ შეხვედრაში ბრინჯაოს მედალი ერგო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტს კახა ჩიქვინიძეს.

ისევ წარმომადგენლობით ასპარეზობაში, როგორიც თბილისის ახალგაზრდა მოკრივეთა VII საერთაშორისო ტურნირია, საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული 4 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ურიგო შედეგი არ არის და ახლა ამ წარმატებას განმტკიცება უნდა. ვფიქრობ, ჩვენს ახალგაზრდობასა და მწვრთნელებს ეს ხელეწიფებათ.

ასპარეზობაზე თბილისის არმიის სპორტულმა კლუბმა დააწესა სხვა პრიზებიც. ყველაზე ტექნიკური მოკრივისა ერგო კ. ჩიქვინიძეს, სარეკორდოდ მოკლე დროში გამარჯვებისთვის — კუბელ რამონ გარბეის (75 კგ), რომელსაც ასპარეზობის პირველ დღეს ზუსტად 30 წამი დასჭირდა უნგრელი რ. ვარგას წმინდად დასამარცხებლად.

უშანგი ჭიჭინაძე.

საჭადრაკო კომპოზიცია

ჭადრაკის პოეტი

ამოცანებსა და ეტიუდებს განსაკუთრებული საჭადრაკო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ქმნიან. მაგრამ ხშირად მათ შესახებ კომპოზიციის მოყვარულებმა არაფერი იციან. დღევანდელ გამოშვებაში გვინდა ერთ-ერთი მათგანის, ელგუჯა კვეზერელის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი წარმოვადგინოთ. ის ხომ 50-იან წლებში ქართული საეტიუდო სკოლის შექმნის სათავეებთან იდგა და გარკვეული წვლილი შეიტანა ამ სკოლისათვის დამახასიათებელი სტილის ჩამოყალიბებაში.

იგი დაიბადა 1934 წელს თბილისში. ბავშვობაში ჭიდაობით იყო გატაცებული. უნივერსიტეტში სწავლის დროს კი თანრიგოსანი სპორტსმენი საჭადრაკო პოეზიამ მოხიბლა. სწორედ მაშინ შედგა მისი შთამბეჭდავი დებიუტიც საკომპოზიციო სარბიელზე — 1955 წელს პირველივე შედგენილმა ეტიუდმა „ახალგაზრდა კომუნისტის“ საკავშირო კონკურსზე მე-3 საპატიო შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით გაუთქვა მას სახელი ქვემოთ მოყვანილმა მინიატურამ.

ე. კვეზერელი, 1957



მოგება

ეტლით კუს აღება არ შეიძლება პატის გამო. ამიტომ 1. ეf4! კg7 2. ეg4 (ერთ-ერთი ფიგურის დაკარგვა თითქოს გარდაუვალია) კf8! და ყველაფერი თავიდან იწყება. 3. ეe4! კf7 4. ეf4! კe8! 5. ეc4! (ახლა კი სწორედ ეს სვლა იგებს) კd7 6. ედ4! და თეთრები იგებენ. ამ ნაწარმოებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ფიგურების დახვეწილი ორნამენტული მოძრაობის ის ნიმუში, რომელსაც კომპოზიციის სპეციალისტები ქართული საეტიუდო სკოლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად თვლიან.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები „ფიდე-ს ალბომის“ პირველ ტომში მოხვდა. სწორედ მან და გ. ნადარეიშვილის ორმა ეტიუდმა „გაბსნეს“ ქართველი საჭადრაკო კომპოზიციების ანგარიში მსოფლიოს საეტიუდო „ოქროს ფონდში“, რითაც დასაბამი მისცეს ჩვენი ავტორების მიერ შემდგომ შექმნილ ძვირფას კოლექციას.

ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ე. კვეზერელმა ორგანული და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში გერმანიუმის კომპლექსური ნაერთების კვლევას მიჰყო ხელი, დაამთავრა ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. 1970 წლიდან იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დოცენტია. სამეცნიერო-კვლევითმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, რასაკვირველია, თავისი ზეგავლენა მოახდინა მის საჭადრაკო ცხოვრებაზე. იქლო საკომპოზიციო აქტივობამ, მაგრამ სტუდენტური გატაცება არ გამქრალა. უკანასკნელ წლებში კი მის სპორტულ-შემოქმედებით ბიოგრაფიაში ახალი წარმატებების ნუსხა გაჩნდა. ამასთან, გაფართოვდა ეტიუდისტის საასპარეზო სარბიელი და თემატიკის სფერო.

ე. კვეზერელი, 1984



მოგება

შავი გამსვლელი პაიკი ერთგვარად აწონასწორებს მეტოქეთა შანსებს. მაგრამ სვლა ხომ თეთრებისაა! 1. ეh6+ მფh8! 2. მფg2 ეb7 შენიღბული სვლა, რომელიც შემდგომ თეთრი ეტლის მოძრაობას შეიბოჭავს. 3. ეa2 ეa7! 4. ეa3! ერთადერთი კონტრშანსი (4. ე:a7? h1ლ+ 5. მფ:h1 პატი) ეb7 5. b3 ეa7! 6. ეa4! იწყება ლამაზი სისტემატური მოძრაობა, რომლის დასასრული საჭადრაკო დაფის ჩარჩოებზეა დამოკიდებული. 6. ...ეb7 7. b4 ეa7 8. ეa5 ეb7 9. b5 ეa7 10. ეa6 ეb7 11. b6 და თეთრები იგებენ.

საკმარისია ე. კვეზერელის ნაწარმოებების გაცნობა, რომ მისი შემოქმედებითი კრედო ნათელი გახდეს. თუმცა თვითონ მას მოუსმინოთ: „უტიუდში ახალი, არაორდინარული იდეის ძიება მიზიდავს. სხვა ავტორთა სიუჟეტების დამუშავება ჩემი შთაგონების წყაროს არ წამოადგენს. რასაკვირველია, ნაწარმოების ფორმას მაქსიმალურად დახვეწა სჭირდება, მაგრამ ეს ჩემთვის მეორადია და პირველობას ჩანაფიქრის ორიგინალურობას ვანიჭებ. ცხადია, ყოველი მიგნების სასურველი ეტიუდური ხორცშესხმა ადვილი არ არის — მას ძალების და ფანტაზიის უკიდურესი დაძაბვა, საკომპოზიციო ეჟინი და ოპტიმისტურად განწყობა უნდა. სამაგიეროდ, დიდი სიამოვნებაა, როცა შენი მხატვრული პრინციპების დაურღვევლად დაძლევ ყველა წინაღობას და მიზანს მიაღწევ. ვფიქრობ, არ არის კარგი რაოდენობრივი მაჩვენებლებით გატაცება. სჯობს შევადგინოთ ცოტა და კარგად!“

ელგუჯა კვეზერელი მარტო საჭადრაკო პოეტი არ არის, მისი სულიერი სამყაროსთვის ასევე მახლობელი და ძვირფასია ნამდვილი პოეზია და ლექსების თხზვა, სადაც მან თავისი ლირიკული „მეს“ გამოხატვის საშუალებას მიაგნო.

ამ წერილმა ერთი თავისებური ანალოგი გაგვახსენა. გამოჩენილ ფრანგ პოეტს ალფრედ დე მიუსეს თავის დროზე ერთი სამსვლიანი ამოცანა შეუთხზავს, რომელმაც მას საჭადრაკო სამყაროშიც ფართოდ გაუთქვა სახელი.

ა. დე მიუსე, 1849



შამათი 3 სვლაში

შეეცადეთ ამოხსნათ ეს ამოცანა და იპოვოთ ფინალი, რომელიც „მიუსეს შამათით“ შევიდა საჭადრაკო კომპოზიციის ტერმინოლოგიაში. ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

ამოხსნა

„ლელოს“ 27 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ო. ობოლაძის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლg4! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველად გამოგზავნა სწორი პასუხი: დალი ქლიბაძე (ქუთაისი), ე. საბეკია (კირცხი, ჩხოროწყუს რ.) დიანა და დ. წოწორიები (რუსთავი), ფ. ბეროშვილი (გურჯაანი), შ. მინასოვი (წყალტუბო), ნანა ზურაშვილი (ძველი ანაგა, სიღნაღის რ.), ი. წულეისკირი (ცხაკაია), მ. დოლიძე, ნ. და რ. კასიძეები (ყველა — ბათუმი), გ. ჯებისაშვილი, ვ. შავგულიძე, ზ. ოყროშიძე, დ. დაუშვილი, ნინო და ა. ღირსიაშვილები, მარიკა და გ. ქოლნტები (ყველა — თბილისი).

ეცხოლეთის რეგბის ამბები

ავსტრალიის ნაკრები „ვოლაბი“ დიდ ბრიტანეთში სტუმრობის შემდეგ იტალიას ეწვია და რომში სძლია ფირას ჩემპიონატის მონაწილე მასპინძელთა ეროვნულ გუნდს — 55:6. გამარჯვებულებს 23 ქულა შესძინა გარე ნახევარმცველმა მაიქლ ლაინაფმა.

ჰონკონგში დამთავრდა აზიის ჩემპიონატი. ფინალში სამხრეთ კორეის ნაკრებმა აზიის მრავალგზის ჩემპიონს — იაპონიის გუნდს მოუგო (17:13) და შარშან მოპოვებული პირველობა შეინარჩუნა, მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში ჰონკონგის გუნდმა დაამარცხა ტაივანის ნაკრები — 19:4.

ლონდონის გარეუბან თვეკნემში 50 ათასი მაყურებელი დაესწრო ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების 107-ე ტრადიციულ შეხვედრას. ამჯერად ოქსფორდელებმა იმარჯვეს — 27:7. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთა ღირსებას იცავდნენ ეროვნულ ნაკრებთა წევრებიც — სამი ავსტრალიელი (ვილიამსი, სმითი, ჭოქერი) და ერთი ახალზელანდიელი (ქირქი).

კარდიფის „არმს პარკზე“ უელსელებმა რუმინეთის გუნდს უმასპინძლეს. სტუმრები, რომლებიც ბოლო ხანებში მძიმე კრიზისს განიცდიან, მოულოდნელად დაწინაურდნენ (9:0), შემდეგ უელსელებმა (სორბერნმა და დევრომ) გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ რუმინელთა გარე ნახევარმცველმა იონამ კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და თავის გუნდს სენსაციური გამარჯვება მოუტანა — 15:9. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს რუმინელებმა ირბ-ის წევრი ქვეყნის ნაკრები პირველად დაამარცხეს მისსავე მოედანზე.

„სპორტპროგნოზი“

50-ე ტირაჟის შედეგები

(10-11 დეკემბერი)

სპორტლოტო ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 50-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 10-11 დეკემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.083.835 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (38) მოგება 2.434 მანეთია. 11 შედეგის გამოცნობისთვის (767) — 452 მანეთი.

50-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 31 დეკემბრიდან 1989 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“, 52-ე ტირაჟის პროგრამა (24-25 დეკემბერი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
1. „იუნოსტი“ (ომსკი) — „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი)	24.XII	50	30	20
2. „ზორკი“ (კრასნოგორსკი) — „ვოდნიკი“ (არხანგელსკი)	24.XII	80	10	10
3. „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (სვერდლოვსკი)	24.XII	70	20	10
4. „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სტროიტელი“ (სიქტივკარი)	24.XII	70	20	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (ვაჟები, უმაღლესი ლიგა)				
5. „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — ცსკა ქ. ჩელიაბინსკში	24.XII	20	10	70
6. სკ „კუნცევო“ (მოსკოვი) — „ნევა“ (ლენინგრადი) ქ. ჩელიაბინსკში	24.XII	70	10	20
7. მაი (მოსკოვი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) ქ. კაუნასში	24.XII	10	20	70
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (პირველი ლიგა)				
8. „იუსტალი“ (იჟევსკი) — ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) პირველი თამაში	25.XII	60	10	30
9. „ლუჩი“ (სვერდლოვსკი) — ასკ მვო (კალინინი) პირველი თამაში	25.XII	60	30	10
10. „სალავათ იულაევი“ (უფა) — „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი) პირველი თამაში	25.XII	60	10	30
11. „მეტალურგი“ (ჩელიაბინსკი) — „ავანგარდი“ (ომსკი) პირველი თამაში	25.XII	50	20	30
12. „მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცკი) — „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი) პირველი თამაში	25.XII	40	10	50
13. ასკ (ნოვოსიბირსკი) — „ავტომობილისტი“ (ყარაგანდა) პირველი თამაში	25.XII	80	10	10

შენიშვნა: ხელბურთში მხედველობაში მიიღება თამაშის ძირითადი დროის შედეგი.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ინდექსი 60485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, ხიშარიულის ქ. 29. უე 05634